

კონკურენცია და მონოპოლია შიგა ენერგეტიკულ ბაზრებზე

გიორგი მუხიგულიშვილი, მურმან მარგველაშვილი
მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ქვეყნების შიგა ენერგეტიკულ სექტორში და კერძოდ ელექტროენერგეტიკაში საბაზრო კონკურენციისა და მონოპოლიური რეგულირების დამკვიდრების პრინციპები. დახასიათებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, ევროგაერთიანების ენერგეტიკული კანონმდებლობის ძირითად პრინციპები და საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის არსებული მდგომარეობა ამ მიმართებაში. წარმოდგენილი მასალა არ წარმოადგენს ამ რთული საკითხების ყოვლისმომცველ კვლევას არამედ არის მხოლოდ პირველადი მცდელობა ყურადღება გაამახვილოს ზოგიერთ საყურადღებო ფაქტორზე, რომელთა განხილვაც. მნიშვნელოვანი იქნება ევროგაერთიანებასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით.

შესავალი

ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფა, მდგრადი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის და საიმედო ენერგეტიკული ბაზრების არსებობა საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ენერგიით უზრუნველყოფა ისევე მნიშვნელოვანია როგორც პირველადი მოხმარების პროდუქტების მიწოდება და წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებელ წინაპირობას. ენერგეტიკული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ფაქტორი. შესაბამისად სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას და პასუხისმგებლობას წარმოადგენს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც მთელი სახელმწიფოს ასევე ინდივიდუალური მომხმარებლების დონეზე, მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელმისაწვდომ ფასად და სტანდარტული ხარისხით, ისე, რომ უზრუნველყოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პირობები გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით.

ისტორიულად, სხვადასხვა სახელმწიფოები დროის სხვადასხვა მონაკვეთებში ენერგეტიკული სექტორის მართვის განსხვავებულ ფორმას მიმართავდნენ, სრული

სახელმწიფო მმართველობიდან მაქსიმალურ ლიბერალიზაციამდე, მაგრამ მიუხედავად ენერგეტიკულ სექტორში არსებული კონკურენტული თუ მონოპოლიური რეგულირებადი გარემოს და საკუთრების ფორმებისა, მდგრადი ენერგეტიკული უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად და პასუხისმგებლობად რჩება.

ქსელური და არაქსელური ენერჯია

ენერჯიაშემცველები შეიძლება პირობითად დაიყოს ორ განსხვავებულ ტიპად - ესენია ქსელური და არაქსელური ენერჯიის სახეობები. ნახშირი, ნავთობი,¹ ნავთობპროდუქტები, შუშა და თხევადი გაზი არაქსელური ენერჯიაშემცველებია რომელთა ტრანსპორტირება და განაწილება ხდება სპეციალური ქსელური ინფრასტრუქტურის გარეშე ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებებით.

არაქსელური ენერჯიაშემცველები ჩვეულებრივი საბაზრო პროდუქტია და მათი მიწოდება, შეიძლება მოხდეს კონკურენტული ბაზრის პირობებში. საერთაშორისო გადაზიდვების და ქვეყნების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში ასეთი ენერჯიაშემცველების მათ შორის ნავთობპროდუქტების, ფასები გლობალური ბაზრის კონიუნქტურით დგინდება.

არაქსელური ენერჯიაშემცველებისგან განსხვავებით ელექტროენერჯიის და ბუნებრივი გაზის გადაცემა, და განაწილება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ელექტროქსელების და გაზსადენების მეშვეობით.

განსხვავებით არაქსელური ენერჯიაშემცველებისგან, ქსელური ენერჯიის ყიდვა-გაყიდვას სპეციალური პირობები ესაჭიროება, ვინაიდან გაზის შემთხვევაში გართულებულია, ხოლო ელექტროენერჯიის შემთხვევაში შეუძლებელი მისი შენახვა, ამიტომ მოპოვება/გენერაცია და მოხმარება ერთდროულად ხდება. ამასთან ერთად თვით პროდუქტის (ელექტროენერჯია, გაზი) მიწოდების და მოთხოვნის გარდა მნიშვნელოვანი ხდება მისი ტრანსპორტირების და განაწილების ქსელების

¹ ნავთობის მხოლოდ ნაწილის ტრანსპორტირება დიდი მოცულობებით მაგისტრალური მილსადენების საშუალებით ხდება რაც, როგორც წესი ქსელურ ინფრასტრუქტურას არ წარმოადგენს.

შესაძლებლობები, ასევე ტექნიკური პარამეტრები (მაზვა, სიხშირე, წნევა და ა.შ.) და რეჟიმები რომლითაც უნდა მოხდეს მიწოდება.


კონკურენტული ბაზარი საყოველთაოდ განიხილება როგორც პროდუქტის მიწოდების (მათ შორის ენერგოუზრუნველყოფის) ხარისხის გაუმჯობესების და ღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. შესაბამისად, ქსელური ენერჯის პირობებშიც არსებობს სურვილი იმისა, რომ იქ სადაც ეს შესაძლებელია, დაინერგოს კონკურენტული ბაზრები რისთვისაც ქსელური ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების ფარგლებში ხდება სპეციალური ღონისძიებების გატარება და სამუშაო პირობების ჩამოყალიბება.

ქსელური ენერჯიაშემცველების შიგა საბაზრო სისტემებს მოგვიანებით განვიხილავთ ევროკავშირის ქვეყნებისა (საფრანგეთი, გერმანია) და საქართველოს მაგალითებზე. ძირითადად მიმოვიხილავთ ელექტროენერჯის ბაზარს რომელიც გაზის ბაზართან შედარებით უფრო რთული სისტემაა და ბევრად უფრო რთულ მართვას და დახვეწილ საბაზრო წესებს მოითხოვს.

ელექტროენერგეტიკული სისტემა

ელექტროენერჯის როგორც პროდუქტის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მისი წარმოება და მოხმარება ერთდროულად ხდება რაც საკმაოდ რთულ მაღალტექნოლოგიურ პროცესთანაა დაკავშირებული². ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების სრული ციკლი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ელექტროენერჯის გენერაცია ელექტროსადგურების მიერ, გამომუშავებული ელექტროენერჯის გადაცემა მაღალი ძაბვის ქსელით, მისი განაწილება დაბალი ძაბვის ქსელში და საბოლოოდ მომხმარებლებისთვის მიწოდება საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო დანიშნულებით მოხმარებისათვის.

² შესაძლებელია ელექტროენერჯის სხვა სახის ენერჯიად გარდაქმნა და მისი შემდგომი მოხმარება, თუმცა ასეთი პრაქტიკა მხოლოდ წარმოებული ელექტროენერჯის მიზეზული ნაწილისთვის გამოიყენება



სურ. 1 ელექტროენერგეტიკული სისტემის სქემა

მაგალითისთვის, საქართველოში ჰიდრო და თბო-ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია ძაბვის ამამალღებელი ტრანსფორმატორების საფეხურების გავლით მიეწოდება მაღალი ძაბვის (500-220კვ³) ელექტროგადამცემ ქსელს რომლის საშუალებითაც ხდება მისი გადაცემა დიდ მანძილებზე. შემდგომ გადამცემა სისტემის ქვესადგურებში ხდება ამ ენერჯის გადაცემა გამანაწილებელი კომპანიების, შედარებით დაბალი (35-110კვ) ძაბვის ქსელში, რომლის საშუალებითაც ის მიეწოდება მცირე დასახლებულ პუნქტებს და მსხვილ საწარმოებს. გამანაწილებელ ქვესადგურებში ხდება ძაბვის შემდგომი დადაბლება 6-10კვ-მდე საიდანაც კვებას ასევე იღებენ მსხვილი მომხმარებლები, ხოლო გამანაწილებელ ტრანსფორმატორებში ძაბვა საბოლოოდ დაიყვანება საცალო მომხმარებლისთვის მისაღებ 220-380ვ ძაბვამდე და მიეწოდება სხვადასხვა ტიპის საცალო მომხმარებელს.

ელექტროენერგეტიკული სისტემა წარმოადგენს ერთიან დაკავშირებულ რთულ სისტემას, რომელიც ექვემდებარება ერთიან სადისპეჩერო მართვას. სისტემის ყველა გენერატორი სინქრონიზებულია და ერთნაირი სიჩქარით ბრუნავს. სისტემის

³ კვ - ძაბვის ერთეული კილოვოლტი= 1000 ვოლტი

ოპერატორისათვის, რომელიც სადისპეჩერო მომსახურებას ახორციელებს მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს მუდმივი წონასწორობა ელექტროენერჯის მიწოდებასა (გენერაცია და მეზობელი სისტემებიდან გადადინება) და მოხმარებას შორის და შეინარჩუნოს სისტემაში ერთიანი სტანდარტული სიხშირე (50 ან 60 ჰც), სტანდარტული ძაბვის დონეები, უსაფრთხოების აუცილებელი დონე და სისტემის მდგრადობა შესაძლო გამორთვების და ავარიების მიმართ, რაც ურთულესი მართვის ამოცანაა. ამ მიზნით დისპეჩერის ბრძანებებს ექვემდებარება გენერაციის სადგურები, და გადამცემი ქსელის ქვესადგურების ოპერატიული პერსონალი, ასევე საჭიროების შემთხვევაში გამანაწილებელი ქსელების მართვის პერსონალი. სისტემის ოპერატორი როგორც ორგანიზაციული ერთეული შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ორგანო (ISO – Independent System Operator) ან გადამცემი სისტემის ოპერატორის (TSO – Transmission System Operator) სტრუქტურული ერთეული.

გადამცემი სისტემის ოპერატორი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელს უწევს ექსპლუატაციას. მის ფუნქციებს წარმოადგენს მაღალი ძაბვის ქსელის ტექნიკური გამართვა, გადამცემი ხაზების და ქვესადგურების ექსპლუატაცია, დაზიანებათა შეკეთება, ასევე ქსელის განვითარება-გაფართოება და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა იმისათვის რომ უზრუნველყოს მომავალი დატვირთვების უზრუნველყოფა და ელექტროენერჯის დაუბრკოლებლად გადაცემა გენერაციის წყაროებიდან მოხმარების ცენტრებში. ამასთან, შესაძლოა გადაცემის ოპერატორს შეთავსებული ქონდეს ელექტროენერგეტიკული ბაზრის (კომერციული) ოპერატორის ფუნქციებიც.

ისევე როგორც ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორისათვის, გამანაწილებელი ქსელის ოპერატორის ძირითად ფუნქციას ქსელის ტექნიკური მართვა და მიღებული ელექტროენერჯის მომხმარებელამდე მიწოდება წარმოადგენს, ოღონდ საშუალო და დაბალი ძაბვის გამანაწილებელი ქსელით. ბევრ შემთხვევაში, და მათ შორის საქართველოში განაწილების ოპერატორი ასევე მომხმარებელთან კომერციული ურთიერთობის (მიწოდება) ფუნქციასაც ახორციელებს, თუმცა საზოგადოდ ეს ორი -ერთმანეთისგან განსხვავებულ საქმიანობად განიხილება.

დასავლეთის მრავალი ქვეყნის და მათ შორის ევროპის ენერგეტიკულ ბაზრებზე მოქმედი ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიები საბითუმო ბაზარზე შეისყიდიან ელ.-ენერჯიას მწარმოებლებისაგან და შემდგომ საცალო ბაზარზე ახდენენ მის რეალიზაციას. მიმწოდებელი კომპანიების ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: მწარმოებლებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობა, რისკების

დაგეგმვა და შეფასება, მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა და შესაბამისი გადასახადის დარიცხვა მოხმარებლებზე. თუმცა ასევე შესაძლებელია მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვას ახორციელებდეს დამოუკიდებელი ერთეული⁴.

შესაბამისად, როგორც უკვე ავლინებთ, ენეგეტიკული სისტემის ფუნქციონირება მოიცავს ოთხ ძირითად საქმიანობას: ენერგორესურსების გენერაცია, გადაცემა/დისპეჩერიზაცია, განაწილება და მიწოდება. იმ შემთხვევაში როდესაც ოთხივე მათგანი ან მათი ნაწილი ერთი მფლობელის ან საწარმოს ხელში არის თავმოყრილი, ეს იქნება კერძო თუ სახელმწიფო ენერგოკომპანია, ასეთ სისტემას ვერტიკალურად ინტეგრირებული ეწოდება. ასეთი იყო მაგალითად საბჭოთა პერიოდში მოქმედი „საქენერგო“.



სურ. 2 ვერტიკალურად ინტეგრირებული ორგანიზაციული სტრუქტურა

მე-20 საუკუნის ბოლო პერიოდამდე ელექტროენერგეტიკული სისტემები უმეტეს წილად სახელმწიფოს მმართველობაში იყო, რომელიც პასუხისმგებლობას იღებდა ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობასა და მის ხარისხზე, უზრუნველყოფდა სისტემის ფუნქციონირებას, მის განვითარებას შესაბამისი ინვესტიციების განხორციელების გზით და ყველა ზემოთ მოყვანილი ფუნქციის განხორციელებას. შემდგომ ეტაპებზე, კონკურენციის დანერგვის და ამ გზით სისტემის ოპტიმიზაციის

⁴ Chris Harris – Electricity Market, pp.:87

მიზნით მოხდა სისტემის ნაწილების დენაციონალიზაცია და შესაბამისი ბაზრების ჩამოყალიბება, თუმცა სახელმწიფო კვლავ ინარჩუნებს პასუხისმგებლობას ამ უმნიშვნელოვანესი პროდუქტის მიწოდების საიმედოობაზე, მის ხარისხსა და ფასზე როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში, რისთვისაც დაგეგმვის და რეგულირების მექანიზმებს იყენებს.

ისტორიულად, ელექტროენერგეტიკული სისტემების საქმიანობა კონკურენტული ბაზრის პირობებში დაიწყო, როდესაც გენერატორი კომპანიები თვითონ ამუშავებდნენ გადაცემის ქსელებს და მომხმარებლის მოსაპოვებლად ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტული ბაზარი საყოველთაოდ ითვლება ეფექტიანობის ამაღლების საუკეთესო ინსტრუმენტად, ასეთმა მიდგომამ არ გაამართლა. მაგალითად 1887-1893 წწ. მხოლოდ ჩიკაგოში ელექტროენერჯის ოცდაოთხი დამოუკიდებელი საგენერაციო ობიექტი ფუნქციონირებდა, ამასთან გამალელებული მშენებლობა მიმდინარეობდა პარალელური გამანაწილებელი ქსელების, ეს ყოველივე კი კონკურენტი ფორმების წარმოების ხარჯებს ერთიორად ზრდიდა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი კონკურენცია გაუმართლებელი იყო როგორც კომერციული ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. შესაბამისად 1898 წელს არსებული არაეფექტური კონკურენტული ბაზარი ქვეყნის მთავრობამ მონოპოლიით ჩაანაცვლა. მოგვიანებით, ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიები გარკვეული პერიოდით ინდუსტრიის სტანდარტად იქცა.

დროთა განმავლობაში, ქსელური ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა ელექტროენერჯის უფრო შორ მანძილებზე გადაცემა, რამაც გენერატორებს შორის კონკურენციის პირობები შექმნა. ამან შესაძლებელი გახადა ენერგეტიკული სისტემების დერეგულირება და ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრების ჩამოყალიბება. მომხმარებლის და გენერატორების დამაკავშირებელი გადაცემისა და განაწილების ქვესისტემები (ქსელები) ბუნებრივ მონოპოლიებს წარმოადგენენ რადგან მათი პარალელური სისტემების აგება როგორც ტექნიკურად ისე ეკონომიკურად გაუმართლებელია. ხოლო ენერგორესურსების გენერაციისა და მიწოდების ქვესისტემებში კონკურენტული ბაზრის არსებობა შესაძლებელია და სწორი რეგულირების პირობებში გამართლებულია, რადგან თავისუფალ ბაზარზე ფასისა და ხარისხისმიერი კონკურენცია აიძულებთ გენერაციისა და მიწოდების სუბიექტებს გააუმჯობესონ ტექნოლოგიები და მომსახურება, რაც საბოლოო ჯამში სოციალურ სარგებელს ზრდის.

⁵ “Power System Economics, Designing Markets for Electricity”, Steven Stoft, 2002


იმისათვის რომ შესაძლებელი გახდეს კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება, საჭიროა ქსელური ინფრასტრუქტურის დამოუკიდებელი ფუნქციონირება რათა უზრუნველყოს გენერატორების არადისკრიმინაციული პირობებით დაკავშირება მომხმარებლებთან. ასევე აუცილებელია მომხმარებლებს მომწოდებლების თავისუფალი და მრავალფეროვანი არჩევანი გააჩნდეთ. სწორედ ამიტომ, მეოცე საუკუნის ბოლოს დასავლეთის ქვეყნებში (უპირველესად აშშ და ევროპის ქვეყნებში) აქტიურად დაიწყო ენერგეტიკული სექტორების ლიბერალიზაცია, რომელიც კონკრეტულად, გულისხმობს:

- სახელმწიფოს როგორც მფლობელის, და მმართველობის დირექტიული ორგანოს როლის შემცირებას, ჯვარედინი სუბსიდირების აღმოფხვრას
- კონკურენტული ბაზრების შექმნას დერეგულირების გზით, რეგულირებადი მესამე მხარის დაშვებით ქსელზე, ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოების ჰორიზონტალური დაყოფით და მრავალფეროვანი გარემოს შექმნით სისტემის თითოეულ სექტორში
- მომხმარებლებისათვის მრავალფეროვანი და თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფას, მათ მონაწილეობას მოთხოვნილების გრძელვადიან მართვაში და მათ მიერ ენერჯის შესყიდვის პასუხისმგებლობის აღებას.

თუმცა ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა რომ, დერეგულირების შემდეგ უფრო მეტი მარეგულირებელი დოკუმენტი და კონტროლი იყო საჭირო ვიდრე რეგულირებადი მონოპოლიის პირობებში⁶.

ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოების ჰორიზონტალური დაყოფა(Unbundling) კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ამის მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთისგან გაიყოს კონკურენტული და მონოპოლიური საქმიანობის სფეროები და ყველა შესაძლო ბაზრის მოთამაშე (გენერატორი თუ მიმწოდებელი) თანაბარ პირობებში მოექცეს რომ არ ჰქონდეს უპირატესობა, იმავდროულად ქსელური ინფრასტრუქტურის ფლობის გამო, ასევე, იმისათვის, რომ ქსელურ ოპერატორებს სტიმული გაუჩნდეთ განავითარონ ქსელი დამატებითი ინვესტიციების განხორციელებით. ელექტროენერგეტიკული სისტემის დაყოფა პოტენციურად კონკურენტულ და ბუნებრივად მონოპოლიურ სეგმენტებად ნაჩვენებია ქვემოთ:

⁶ "Power System Economics, Designing Markets for Electricity", Steven Stoft, 2002



სურ. 3 ბუნებრივი მონოპოლიები და კონკურენტული ბაზრები ელექტროენერგეტიკულ სექტორში.

სწორედ ჰორიზონტალური დაყოფას და კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების ეტაპობრივ შემოღებას გაზრდილი სიმკაცრით ემსახურება ევროპის ენერგეტიკულ დირექტივთა პაკეტი⁷.

კერძოდ, განიხილება ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების ჰორიზონტალური დაყოფის რამოდენიმე დონე⁸:

⁷ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:1997:027:0020:0029:EN:PDF> – 1 directive package

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:176:0037:0037:EN:PDF> – 2nd directive package

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:211:0055:0093:EN:PDF> – 3rd directive package

⁸ <http://www.euractiv.com/energy/eu-electricity-market-liberalisation/article-169597>

- ქსელური სექტორის ფინანსური ანგარიშების გამოყოფა წარმოებისა და მიწოდების სექტორებისაგან.
- ქსელური სექტორის მმართველობითი გამოყოფა.
- ქსელური სექტორის ყველა ფუნქციის განცალკევება გენერაციისა და მიწოდების სექტორებისაგან, თუმცა შესაძლებელია დარჩეს ერთი და იგივე პირის მფლობელობაში.
- ქსელური სექტორის სრული გამოყოფა გენერაციისა და მიწოდების სექტორებისაგან; სხვადასხვა მფლობელები უნდა მართავდნენ თითოეულს.

სისტემის ჰორიზონტალური დაყოფისას საბოლოო ფასი მიწოდების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა მექანიზმებით ყალიბდება. გენერაციის და მიწოდების სექტორში ეს არის კონკურენტული ბაზარი, ხოლო გადაცემის/დისპეჩერიზაციის და განაწილების სექტორებში რეგულირება. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ კომპონენტზე მოქმედებს ფასების ოპტიმიზაციის საბაზრო ან მარეგულირებელი ფაქტორები, რომელთა საბოლოო ეფექტიც მომხმარებელამდე პირდაპირ აღწევს.

ჰორიზონტალური დაყოფის მიზანშეწონილობა, ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა იმით, რომ ბაზარზე ვერტიკალურად ინტეგრირებულ კომპანიებთან შედარებით ჰორიზონტალურად დაყოფილი კომპანიების დროს სამომხმარებლო ფასები უფრო ნაკლებად იზრდებოდა ⁹.

ევროპის ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია

ევროპაში 1997 წელს¹⁰ დაიწყო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ინტენსიური ლიბერალიზაცია. ევროპის ქვეყნებს შორის დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და სკანდინავიის ქვეყნებმა პირველებმა დაიწყეს ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესი, მაშინ როცა საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია და პორტუგალია დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ვერტიკალურად ინტეგრირებულ სახელმწიფო

⁹ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:52007PC0528:EN:NOT>

¹⁰ „Deregulating Electricity Markets: The French Case“ INSEAD, 2004

კომპანიებს 2002 წლისათვის ევროპის ელექტროენერგეტიკული ბაზრის 80% ღია იყო კონკურენციისათვის.

ევროპის ენერგო ბაზრის ლიბერალიზაციისათვის ევროკომისიის მიერ მომზადდა დირექტივათა სამი პაკეტი, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე და მესამე პაკეტები. ძირითადი განსხვავებები მათ შორის მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში რომელიც აჩვენებს დაყოფის მიმართ მოთხოვნების ეტაპობრივ გამკაცრებას:

	მეორე პაკეტი (2003)	მესამე პაკეტი (2009)
ენერგეტიკის სფეროში ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის უფლების მოპოვება	ავტორიზაცია, ტენდერი.	ავტორიზაცია
გადამცემი ქსელის გამოყოფა წარმოებისა და მიწოდების სექტორებისგან	ფინანსური; მმართველობითი; იურიდიული;	მფლობელობითი; დამოუკიდ.სისტემის ოპერატორი; დამოუკიდ. გადამცემი ოპერატორი;
გამანაწილებელი ქსელის გაყოფა წარმოებისა და მიწოდების სექტორებისგან	ფინანსური; მმართველობითი; იურიდიული;	სავალდებულოა იურიდიული გამოყოფა როცა 100 000 მომხმარებელზე მეტი ყავს.
მარეგულირებელი	დამოუკიდებელია ენერგო ინდუსტრიული სექტორისაგან	დამოუკიდებელია როგორც ენერგო ინდუსტრიული სექტორისაგან ისე მთავრობისაგან.
მესამე მხარის დაშვება ქსელთან	სავალდებულოა	სავალდებულოა

საყურადღებოა, რომ დირექტივათა მესამე პაკეტი არ მოითხოვს გამანაწილებელი კომპანიებისათვის მფლობელობით დაყოფას, ხოლო ქსელურ გადამცემ ოპერატორებს დაყოფის ალტერნატიულ ვარიანტებს სთავაზობს (მფლობელობითი დაყოფა; დამოუკიდ.სისტემის ოპერატორი; დამოუკიდ. გადამცემი ოპერატორი).ამასთან, მფლობელობითი დაყოფის გარდა სხვა შემთხვევებში საჭიროა დამატებითი მარეგულირებელი კონტროლის მექანიზმების შემოღება, რომელიც აღმოფხვრის შესაძლო არასაბაზრო ქმედებებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესში სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული მიდგომები ახასიათებთ, ამიტომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში დირექტივების მოთხოვნების აღსრულება დიდ

სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამავე დროს სპეციალურ შემთხვევებში ქვეყნების თავისებურებიდან გამომდინარე რიგი ქვეყნებისათვის გამონაკლისებია დაშვებული. მაგალითად გამონაკლისები შეეხო კვიპროსსა და მალტას მცირე და იზოლირებული ელექტროენერგეტიკული სისტემის გამო¹¹.

ენერგეტიკული სექტორების რესტრუქტურისა და საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ევროპის უდიდესი ენერგეტიკული ქვეყნების - გერმანიისა და საფრანგეთის მაგალითები:

გერმანია

გერმანია ევროპაში ელექტროენერჯის მოხმარების წილით პირველ ადგილზეა (19%¹²). მისი წლიური მოხმარება 547 ტვტ/სთ¹³ შეადგენს. 2002 წელს გერმანიაში 520-მდე¹⁴ ელექტროენერჯის მწარმოებელი კომპანია ფუნქციონირებდა, რომელთა შორის ოთხი უდიდესი მწარმოებლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია მთელი წარმოების 70% შეადგენდა.

გერმანიაში ელექტროენერჯის მიწოდების სამი დონე არსებობდა დერეგულაციის დაწყებამდე:

- 8 უდიდესი კომპანია, რომლებიც ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს ერთმანეთთან აკავშირებდა და მთელი წარმოებული ელექტროენერჯის 81% აწვდიდა მომხმარებლებს.*
- 80 რეგიონული კომპანია - 7%;*
- 900 მუნიციპალური კომპანია - 12%;*

ელექტროენერჯის სექტორში ბაზრის გახსნამ პირველ წლებში მძლავრი ფასისიმიერი კონკურენცია გამოიწვია. ყოველივე ამან კი ბაზრის მოთამაშეები უფრო რაციონალურები გახადა. იმისათვის რომ მოგება არ შეემცირებინათ, ელექტროენერჯის მწარმოებელი კომპანიები ერთიანდებოდნენ (80 კომპანიის გაერთიანებით 30 კომპანია შეიქმნა) ან გარიგებებს აწარმოებდნენ ერთმანეთთან (500-მდე კომპანია იქნა მხილებული ფარულ

¹¹ ასევე საყურადღებოა, რომ ევროპის გადაწყვეტილებით ნაბუქოს გაზსადენი 25 წლით გათავისუფლებულია მესამე მხარის დაშვებისა და სატარიფო რეგულირებისაგან.

¹² http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_electricity_consumption

¹³ http://www.nationmaster.com/graph/ene_ele_con-energy-electricity-consumption

¹⁴ Integrating Electricity Markets through Wholesale Markets: EURELECTRIC Road Map to a Pan-European Market / 2005

გარიგებებში). ამ პროცესში მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა - დიდი კომპანიები ერთიანდებოდნენ რათა შეენარჩუნებინათ კონკურენტული მდგომარეობა, ხოლო პატარა კომპანიები თანამშრომლობდნენ და გარიგებებს აწარმოებდნენ ერთმანეთთან, რათა მოეპოვებინათ ერთობლივი საბაზრო ძალაუფლება. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გენერაციის ობიექტების უმრავლესობა პრივატიზებულ იქნა. საბოლოოდ რვა უდიდესი ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიიდან ოთხი კომპანია შეიქმნა - E.ON, RWE, EnBW, Vattenfall Europe.

ელექტროენერჯის ბაზრის ლიბერალიზაციის შედეგად ადრე არსებული ვერტიკალურად ინტეგრირებული საქმიანობა დაიყო შემდეგ ძირითად ერთეულებად: წარმოება/გენერაცია, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, გადაცემა და განაწილება. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ახალი ბაზრების გაჩენას.

გერმანიაში ელექტროენერჯით ვაჭრობა ხორციელდება როგორც საბითუმო ისე საცალო ბაზრებზე. საბითუმო ბაზარზე თავს იყრიან ელექტროენერჯის მწარმოებელი და მიმწოდებელი კომპანიები, ასევე მსხვილი ინდუსტრიული მომხმარებლები, ხოლო საცალო ბაზარზე მიმწოდებელი კომპანიები საბითუმო ბაზარზე ნაყიდ ელექტროენერჯას მცირე მომხმარებლებზე ყიდიან. საბითუმო ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს როგორც ორმხრივი პირდაპირი კონტრაქტებით (OTC - დახლს მიღმა) ისე ფინანსური დერივატივების გამოყენებით. გერმანიაში 1998 წლიდან ფუნქციონირებს ელექტროენერჯის საცალო გაყიდვების ბაზარი. თუმცა ელექტროენერჯის მომხმარებლებს მომწოდებლების (100%) თავისუფალი არჩევანის უფლება გერმანიაში 2005 წლიდან მიეცათ, ხოლო საფრანგეთში 2007 წლიდან¹⁵.

მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანია ელექტროენერჯის მიღება შეფერხებების გარეშე, დაბალ ფასად; გერმანია კი ამ მხრივ მოწინავეა ევროკავშირში (მხოლოდ 15 წუთიანი შეფერხება მთელი წლის განმავლობაში). ელექტროენერჯის ბაზრის ლიბერალიზაციას პირველი 2-3 წლის განმავლობაში მართლაც ფასების კლება მოყვა (6%-საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის, 30%-ინდუსტრიული მომხმარებლებისათვის), თუმცა 2002 წლიდან ისევ დაიწყო ფასების ზრდა, რაც გამოწვეული იყო ამორტიზებული ტექნოლოგიების ახლით შეცვლით და გადასახადების გაუმართლებელი ზრდით.

გერმანია მოწინავეა დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების აღსრულებაში. ქსელური მონოპოლიების კონკურენტული სექტორისაგან მმართველობითი და იურიდიული გამოყოფა აქტიურად ხორციელდება, თუმცა მაინც რჩება რამოდენიმე კომპანია რომლებიც გარდა გენერაციის ობიექტებისა ფლობენ ქსელურ აქტივებს და მიწოდებასაც

¹⁵ <http://www.leonardo-energy.org/training-module-electricity-market-regulation-session-2>

ახორციელებენ (ასეთებია RWE¹⁶, E.ON¹⁷, Vattenfall Europe¹⁸). სიტუაციას ართულებს ისიც რომ ეს კომპანიები გენტლმენურ შეთანხმებების საფუძველზე არ ერევიან ერთმანეთის ბიზნესში, რითაც გარკვეულწილად კონკურენციას ზღუდავენ.

საფრანგეთი

საფრანგეთის მთავრობა ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესს დიდ წინააღმდეგობას უწევდა იმ არგუმენტებით რომ მეზობელ ქვეყნებში განხორციელებულ რეფორმებს არ მოჰყოლია ფასების კლება და ენერგეტიკული უსაფრთხოების ზრდა, ამასთან ენერგეტიკა ქვეყნისათვის სტრატეგიულ სექტორს წარმოადგენს. მათ სჯეროდათ რომ საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაში მონოპოლია უფრო ეფექტურია ვიდრე კონკურენტული ბაზარი. დიდი მანძილით დამორებულ და გეოგრაფიულად არახელსაყრელ ადგილებში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა ხშირ შემთხვევაში წამგებიანია და თუ არა მონოპოლია კონკურენტული ბაზარი ამას ვერ მოახერხებდა. მითუმეტეს მაშინ, როცა მონოპოლია სახელმწიფოს საკუთრებაშია და მასშტაბის ეკონომიის დიდი ეფექტი გააჩნია¹⁹.

საფრანგეთის ელექტროენერჯის გენერაციის მნიშვნელოვანი წილი ატომურ სადგურებზე მოდის, რომელთაც საფუძველი სახელმწიფო ენერჯო კომპანიამ Electricity De France (EDF)-მა ჩაუყარა. ატომური ალექტროსადგურების გამოყენებამ საფრანგეთი ევროპაში ენერგეტიკულად ყველაზე დამოუკიდებელ ქვეყნად აქცია, ამასთან აქ ფასებიც ყველაზე დაბალი იყო მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე. მიუხედავად დადებითი მხარეებისა მას უარყოფითი მხარეებიც გააჩნდა; ატომური სადგურები ბირთვული კატასტროფის საფრთხის შემცველია და ამორტიზაციის მოკლევადიანი პერიოდით ხასიათდებიან(30 წელი).

საფრანგეთში ენერჯო სექტორის ორი მარეგულირებელი ორგანოა: მთავრობა და ელექტროენერჯის მარეგულირებელი კომისია (Electricity Regulation Commission – CRE), რომელიც 2000 წელს შეიქმნა. მთავრობა ენერჯო პოლიტიკის გამტარებელია და ამავე დროს ავალდებულებს კომპანიებს აიღონ საჯარო სამსახურის პასუხისმგებლობა. მარეგულირებელი კომისია ადგენს ტარიფებს და უზრუნველყოფს გადამცემ და გამანაწილებელ ქსელთან მესამე მხარის დაშვების სამართლიან და გამჭვირვალე პროცესს.

¹⁶ <http://www.rwe.com/web/cms/en/179662/rwe/responsibility/>

¹⁷ <http://www.eon.com/en/corporate/2033.jsp>

¹⁸ <http://www.vattenfall.com/en/our-business.htm>

¹⁹ Deregulating Electricity Markets: The French Case” INSEAD, 2004

მიუხედავად საფრანგეთის მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკისა, 2000 წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი გადამცემი ქსელური ოპერატორი (Transmission Management Network – RTE) რომელიც მარეგულირებელი კომისიის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და მთელი საფრანგეთის მასშტაბით უზრუნველყოფს ელექტროენერჯის გადაცემას. EDF-ს კი მხოლოდ გენერაციის ობიექტები და გამანაწილებელი ქსელი დარჩა საკუთრებაში. საფრანგეთში EDF-ის საბაზრო წილი 93,8% შეადგენდა 2001 წლისათვის და იმისათვის რომ საბაზრო კონკურენცია შექმნილიყო EDF-მა დაიწყო შიდა საბაზრო წილის შემცირება და მეზობელ ქვეყნებში ინვესტიციების ჩადება. დღეისათვის ელექტროენერჯის სექტორში EDF-ის საბაზრო წილი საფრანგეთში 85%, დიდ ბრიტანეთში 16% და იტალიაში 15% შეადგენს²⁰.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში ინტენსიური ლიბერალიზაციის მიუხედავად საცალო გაყიდვების ბაზარი კვლავ განვითარების სტადიაშია²¹; მოსახლეობის 57%-ს რეგულირებადი ტარიფით მიეწოდება ელექტროენერჯია, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს კონკურენტული ბაზრის განვითარებისათვის. ევროპის ეროვნული საბითუმო ბაზრები კი ძირითადად ადგილობრივი ენერჯო კომპანიებით არის წარმოდგენილი.

ეფექტური კონკურენტული ბაზრის პირობებში ხდება პიკური და არაპიკური, სეზონური, დღელამური ენერჯის განსხვავებული ფასების წარმოქმნა, რაც მაქსიმალური მიახლოებით ასახავს კონკრეტულ სისტემაში დროის ყველა მონაკვეთში ელექტროენერჯის მიწოდების ღირებულებას და იძლევა საბაზრო სიგნალებს ბაზრის მონაწილეთა ქმედების, ასევე ინვესტიციების ოპტიმალური გადანაწილებისათვის სისტემის ამა თუ იმ კომპონენტებში, საჭიროების მიხედვით.

განვითარებულ ელექტროენერჯეტიკულ სისტემებში ერთდროულად ფუნქციონირებს რამდენიმე განსხვავებული ბაზარი. ესენია:

1. ენერჯის
2. სიმძლავრის
3. დამხმარე სერვისების
4. დერივატივების

²⁰ EDF group, reference document 2010 pp.44

²¹ EU Energy Markets in Gas and Electricity – State of Play of Implementation and Transposition, 2010.

მათ შორის დამხმარე სერვისების ბაზარი- უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორის მიერ დამხმარე მომსახურების შესყიდვას, როგორცაა: სიხშირის რეგულირება, რეაქტიული სიმძლავრის მიწოდება, სისტემის სრული ჩაქრობიდან გაშვება და ა.შ.

დროის მიხედვით ბაზრები იყოფა ფიზიკურს (სამომავლო გრძელვადიანი) ბაზარი, სპოტური (ერთი დღით ადრე, დღის განმავლობაში ან ნამდვილ დროში) და პოსტ-ექს (ფაქტის შემდგომი) ბაზარი - ვაჭრობის განსხვავებების დასაბალანსებლად.

კონკურენციის შემდგომი განვითარების და მიწოდების საიმედოობის გაზრდის მიზნით, ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ევროპის ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის შექმნა. ერთიანი ევროპული ბაზარი უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნების გენერატორების და მომწოდებლების კონკურენციას ერთმანეთთან და ელექტროენერგეტიკული ნაკადების თავისუფალ მოძრაობას ქვეყნების საზღვრებს მიღმა, რითაც ზრდის ეფექტიანობას როგორც წარმოების ისე გადაცემისა და მიწოდების სექტორებში, ასევე უზრუნველყოფს ენერგეტიკული უსაფრთხოების უფრო მაღალ დონეს.

ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრების კანონმდებლობის გავრცელებას მთლიანად ევროპის და კერძოდ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ემსახურება ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის ჩამოყალიბება, რომელშიც საქართველო დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს. ამით ევროკავშირი ცდილობს გაავრცელოს ევროპის ენერგეტიკული ბაზრის პრინციპები, ხელი შეუწყოს კონკურენციას და გაზარდოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დონე მის მეზობელ რეგიონებში.

რეგულირება ელექტროენერგეტიკულ ბაზრებში

დერეგულირებულ ბაზრებში სახელმწიფოს როლი დაიყვანება ძირითადად დაგეგმვის და გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკის განსაზღვრაში (ძირითადად დარგობრივ სამინისტროებში) ასევე რეგულირების გამართული მექანიზმების შემოღებაში (დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები). უნდა აღინიშნოს რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია არ გულისხმობს მარეგულირებლის როლის შემცირებას. პირიქით, მათი პასხისმგებლობათა სფერო და მნიშვნელობა იზრდება. რეგულირება მნიშვნელოვანია

იმისათვის, რომ არ მოხდეს მონოპოლიური ძალაუფლების გამოყენება ბუნებრივად მონოპოლიური ქსელური საწარმოების მიერ ასევე, ბაზრის მონაწილეთა დისკრიმინაცია და ფასების გაუმართლებელი ზრდა. მარეგულირებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონკურენტული ბაზრის პირობები და აღმოფხვრას არასაბაზრო ქმედებები.

მარეგულირებლის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: .

- i. **ფასის კონტროლი.** მარეგულირებელი ქსელურ ოპერატორებს უწესებს ტარიფებს. ის ითვალისწინებს მათ საოპერაციო და კაპიტალურ ხარჯებს და აბალანსებს მომხმარებლის და ლიცენზიატის ინტერესებს ისე, რომ ერთის მხრივ ფასი დაუსაბუთებლად არ გაიზარდოს და ამავე დროს უზრუნველყოფილ იქნას ქსელის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიანი მიწოდების საიმედოობისათვის.
- ii. **პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის კონტროლი.** მარეგულირებელი უწევს მონიტორინგს ელექტრო ენერჯია თუ ბუნებრივი გაზის მიწოდების უწყვეტობას და ხარისხს. მაგალითისათვის, ელექტროენერჯიის სტაბილური მიწოდების ინდიკატორს გათიშვათა სიხშირე და ხანგრძლივობა წარმოადგენს, ხოლო მისი ხარისხის მაჩვენებლებს ძაბვისა და სიხშირეთა ცვალებადობის დიაპაზონი. მომსახურების ხარისხს აჩვენებს ასევე მომხმარებლების საჩივრების რაოდენობა და მათი შინაარსი.
- iii. **ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა და არასაბაზრო მოქმედებათა აღმოფხვრა.** მარეგულირებელი მონიტორინგს უწევს ელექტროენერგეტიკული კონკურენტული ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებას და არასაბაზრო ქცევის შემთხვევაში რეაგირებას ახდენს.
- iv. **მესამე მხარის დაშვების უზრუნველყოფა.** მარეგულირებელი ავალდებულებს ელექტროენერჯიის გადაცემისა და განაწილების ქსელურ ოპერატორებს ნება დართონ გენერაციის სხვადასხვა ობიექტებს საკუთარი გამომუშავებული ელექტროენერჯია მიაწოდონ მომხმარებლებს მათი ქსელის საშუალებით არადისკრიმინაციული პირობებით.
- v. **ლიცენზირება.** მარეგულირებელი ორგანო ლიცენზიებს გასცემს ენერგეტიკული რესურსების მოძიებასა და შემდგომ ელექტროენერჯიის წარმოებაზე, მის გადაცემასა, განაწილებასა და საბოლოო მომხმარებლებთან მიწოდებაზე. ასევე უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეების მიერ

უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვას და საჭირო ინვესტიციების განხორციელებას და ა.შ.

რეგულირება ეფექტიანია მაშინ თუ მისი ხარჯები ნაკლებია მის მიერ მოტანილ ეკონომიკურ შედეგზე.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორი

ევროკავშირთან დაახლოების ტენდენციების ფონზე საინტერესოა განვიხილოთ საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა, მისი ჰორიზონტალური დაყოფის და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობების თვალსაზრისით.

საქართველო ჰიდრო რესურსებით მდიდარი ქვეყანაა და ელექტროენერჯის წარმოების უდიდესი წილი(93%) სწორედ ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის. ამჟამად ქვეყანაში 20 დიდი და 27 მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურია. დიდი ჰესებიდან ოთხი სახელმწიფოს (მათ შორის უდიდესი ენგურჰესი), ხუთი „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს, ორი „ინტერ-რაოს“ და დანარჩენი სხვა კერძო მფლობელების საკუთრებაშია. გარდა ჰიდროელექტროსადგურებისა სამი თბოელექტროსადგურიც ფუნქციონირებს, რომელთაგან „მტკვარი ენერჯეტიკა“ „ინტერ-რაოს“-ს, ხოლო თბილსრესი და ჯი ფაუერი სხვა კერძო მფლობელებისაა.

სხვა კომპანიები: თბილისის წყალი - „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერ“ და კომპანია **ჯორჯიან მანგანუმი** ფლობს ვარციხე ჰესების კასკადს და ამავე დროს წარმოადგენს ერთერთ უმსხვილეს მომხმარებელს (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ჭიათურმანგანუმი. ასევე საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, რომელიც ერთდროულად ფლობს მსხვილ გენერაციის (თბილსრესი) და მოხმარების ობიექტებს.

გარდა ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა არის ათეულზე მეტი კომპანია, რომლებიც იწყებენ ან აწარმოებენ აქვთ ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობას და ამდენად ენერგეტიკული სექტორის პოტენციურად მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ.

საქართველოში ფუნქციონირებს ელექტროენერჯის გადაცემის სამი ლიცენზიანტი შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (GSE) და სს "საქრუსენერგო".

სააქციო საზოგადოება "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (სსე) შეიქმნა 2002 წელს ს/ს "ელექტროგადამცემისა" და შპს "ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000"-ის შერწყმის შედეგად. მისი დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო. სსე საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით ახორციელებს²²:

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერჯის გადაცემის (ტრანსპორტირება, ტრანზიტი) უზრუნველყოფა (35/110/220/500 კილოვოლტი);
- ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია და საქართველოს ენერჯოსისტემის ოპერატიულ მართვა, 500-220110-35 კილოვოლტიანი გადამცემი ობიექტების გამართულ მუშაობისა და ენერჯოსისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა, როგორც როგორც ნორმალურ, ასევე ავარიულ რეჟიმში.

სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა "საქრუსენერგო"²³ 1996 წლის 27 მაისს, საქართველოს მთავრობის და "რუსეთის ერთიანი ენერჯეტიკული სისტემის" მიერ ჩამოყალიბდა 50%-50% მონაწილეობით. "საქრუსენერგოს" უმთავრესი ამოცანაა ყველა მეზობელ ენერჯოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა. მისი ძირითადი ფუნქციაა შიდა სასისტემო 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზების მეშვეობით ელექტროენერჯის გადაცემა და მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების (გარდა სომხეთისა) ტექნიკური მომსახურება.

შპს. "ენერჯოტრანსი" არის საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის პარტნიორი სახელმწიფო კომპანიას წარმოადგენს რომელიც შეიქმნა 2002 წელს. მისი წილის 100% განმკარგავია საქართველოს სახელმწიფო. "ენერჯოტრანსი" - განაგებს 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზს "თბილსრესი - სამხრეთ საქართველო – ზესტაფონი, რომელიც სამხრეთის მხრიდან ერთმანეთთან დააკავშირებს "გარდაბნისა- და "დიდი ზესტაფონის- ქვესადგურებს. ასევე ახალციხის რაიონში მიმდინარე 500/400 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობას, რომელიც ახალი 400კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდება თურქეთის ქვესადგურ "ბორჩხას".

²² www.gse.com.ge

²³ www.srenergo.ge

საქართველოში ელექტროენერჯის განაწილებას ახორციელებს სამი კომპანია "ენერგო-პრო ჯორჯია," "თელასი" და "კახეთის ენერგოდისტრიბუცია"²⁴.

სს "ენერგო-პრო ჯორჯია" საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებელი და გამანაწილებელი კომპანიაა, რომელიც ქ. თბილისისა და კახეთის გარდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მაღალი (110 კვ) საშუალო (35-10 კვ) და დაბალი (6-0,4 კვ) ძაბვის ქსელს ფლობს²⁵. გარდა განაწილებისა კომპანია რვა ჰიდროელექტროსადგურს ფლობს (ლაჯანურჰესი, რიონჰესი, გუმბათჰესი, შაორჰესი, ძევერულაჰესი, აწჰესი, საცხენი ჰესი და ჩითახევ ჰესი) რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 414 მგვტ-ზე მეტია, რაც ქვეყნის საერთო სიმძლავრეების 26%-ს შეადგენს. ენერგო-პრო ჯორჯია წელიწადში 2.150 მილიარდი კვტ/სთ ელექტროენერჯით ამარაგებს 850 000 აბონენტს. კომპანიის მიერ ელექტროენერჯის გაყიდვები უტოლდება ქვეყანაში ელექტროენერჯის საერთო მოხმარების 25%-ს; აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გენერაციის ობიექტების უმეტესობა პრივატიზებულ იქნა ერთიან პაკეტად გამანაწილებელ ქსელთან ერთად. ენერგო-პრო ახორციელებს ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებას და აბონენტთა ტექნიკურ მომსახურებას, ასევე აწარმოებს საკუთარი გადამცემი ქსელის განვითარებას თურქეთის მიმართულებით.

სს "თელასი" საქართველოს ენერგობაზარზე ზომით მეორე გამანაწილებელი კომპანიაა, რომელიც ქ. თბილისისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მაღალი (110 კვ) საშუალო (35-10 კვ) და დაბალი (6-0,4 კვ) ძაბვის ქსელს ფლობს²⁶. სს "თელასი" წელიწადში 2 მილიარდი კვტ/სთ ელექტროენერჯით ამარაგებს 416 500 აბონენტს. "თელასის" აქციების 75% პროცენტის მფლობელი 2003 წლიდან რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემაა. გარდა გამანაწილებელი ქსელისა ინტერ რაო, [რომლის შვილობილი კომპანიაა „თელასი“](#) არის ფლობს გენერაციის ობიექტებსაც: მტკვარი ენერგეტიკა - 300 მგვტ დადგმული სიმძლავრის თბოსადგურით და ხრამჰესი-1 და ხრამჰესი-2 იწყება ასევე ხრამი 3 და ხრამი 4 სადგურების მშენებლობა.

²⁴ www.minenergy.gov.ge

²⁵ www.energo-pro.ge

²⁶ www.telasi.ge

ს.ს. „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“²⁷ კახეთის რეგიონში მოქმედი გამანაწილებელი კომპანიაა, რომელიც 2003 წლის 15 აპრილს ს.ს. „სინათლე“-ს ბაზაზე შეიქმნა. ს.ს. „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“ ემსახურება 117 058 აბონენტს. მისი საშუალო წლიური მოხმარება 200 მლნ კვტ/სთ-ია.

სამივე გამანაწილებელი კომპანია, გამანაწილებელ საქმიანობასთან ერთად აწარმოებს მიწოდების საქმიანობას. ანუ ყიდულობს ელექტროენერჯიას და ყიდის მას მომხმარებელზე. დამოუკიდებელი მიმწოდებლები პრაქტიკულად არ მონაწილეობენ.

ენერგეტიკული სექტორის მართვა

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორის მართვის მოქმედ მთავარ სუბიექტს წარმოადგენს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რომელსაც გადაცემული აქვს მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციების ნაწილი და ასევე ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ზედამხედველობას. სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია²⁸:

- ✓ დარგის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტების შემუშავება;
- ✓ ენერგეტიკაში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ✓ ენერგეტიკის დარგში პრივატიზაციის პროცესის ოპტიმალური წარმართვა;
- ✓ დარგის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნა;
- ✓ ელექტროენერჯისა და გაზის წარმოების, გადაცემისა, დისპეჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების კოორდინაცია;
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა ენერგეტიკის დარგში;
- ✓ ენერგეტიკის დარგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის განსაზღვრა;

²⁷ www.minenergy.gov.ge

²⁸ www.minenergy.gov.ge

- ✓ ენერგო რესურსების მოპოვების გაფართოების, განახლებადი ენერგო რესურსების ათვისებისა და ენერგო ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

საქართველოში ენერგეტიკული ბაზრის მარეგულირებელ ორგანოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს, რომელიც კანონის მიხედვით დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოების, უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან და არ არის დაფუძნებული სახელმწიფო ქონების ბაზაზე.

კომისიის ძირითადი ფუნქციებია:


- ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტის და მოხმარების, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფების, ასევე ახალი მოხმარებლების გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის დადგენა.
- ბაზრის მონაწილეთა ლიცენზირების წესებისა და პირობების დადგენა, ამ პირობების დაცვის კონტროლი.
- ენერჯის და წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების, ტარიფების მეთოდოლოგიის, დამტკიცება.
- ბაზრის მონაწილეებს შორის სადავო საკითხების გადაწყვეტა.
- ენერგეტიკის დარგში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია.
- ლიცენზიატების, იმპორტიორის, ექსპორტიორის, მიმწოდებლის და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორის მიერ მომსახურების გაწევის პირობების, წესების და პროცედურების დამტკიცება;

საქართველოში არსებულ საგენერაციო ობიექტებზე განსხვავებული სატარიფო რეგულირება მოქმედებს:

- სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ რეგულირებად ჰიდროელექტროსადგურებს (ენგური, ვარდნილი) ფიქსირებული ტარიფი აქვთ დაწესებული
- კერძო მფლობელობაში საშუალო სიმძლავრის ნახევრად დერეგულირებულ ჰესებს ზამთრის ფასის ზედა ზღვარი აქვთ დაწესებული
- დერეგულირებულ ჰესებზე არ მოქმედებს არანაირი სატარიფო რეგულაცია

თბოელექტროსადგურებს ელექტროენერჯის და სარეზერვო სიმძლავრის ფასის ზედა ზღვარი აქვთ დადგენილი, ამასთან ჰიდროსადგურებს სარეზერვო სიმძლავრის საფასური არ უდგინდებათ

საქართველოში ელექტროენერჯის საბაზრო წესების მიხედვით, ენერგოსექტორის ლიცენზიანტები აფორმებენ მოკლევადიან (1 წელი) ან გრძელვადიან(5 წელი) პირდაპირ კონტრაქტებს ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვაზე, კონტრაქტები ფორმდება მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის, ხოლო საბალანსო სიმძლავრის შესყიდვაზე ხელშეკრულება ფორმდება კომერციულ ოპერატორთან.



სურ.4 ელექტროენერჯით ვაჭრობის მოდელი²⁹

ელექტროენერჯეტიკული სექტორის კომერციულმა ოპერატორმა (ესკო³⁰) ფუნქციონირება 2006 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო.

სისტემის კომერციული ოპერატორის ფუნქციებია:

1. პირდაპირი კონტრაქტების გარეშე დარჩენილი “საბალანსო“ ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა
2. გარანტირებული სიმძლავრით (სარეზერვო სიმძლავრის ანალოგი) ვაჭრობა;
3. და მყიდველების, გაყიდული და შესყიდული ან/და მიღებული (მომხმარებელი) ელექტროენერჯის ფაქტობრივი რაოდენობების განსაზღვრა

²⁹ <http://www.menr.gov.ge/4367>


³⁰ www.esco.ge

4. საბითუმო აღრიცხვაში გამოყენებული მრიცხველების ინსპექტირება.

ელექტროენერჯის ძირითადი რაოდენობა იყიდება პირდაპირი ორმხრივი კონტრაქტებით. საბალანსო ელექტროენერჯით ვაჭრობის ციკლი განისაზღვრება ერთი თვით და ამ გზით იყიდება მთლიანი ელექტროენერჯის 12-15%.

შეზღუდვებია დაწესებული პირდაპირი მომხმარებლებისთვის. პირდაპირი მომხმარებლის სტატუსს იღებენ მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც წლიურად მოიხმარენ 7 მლნ. კვტსთ ელექტროენერჯიას. 2017 წლამდე კი ეს ზღვარი 1 კვტსთ-მდე დავა.

ჰორიზონტალური დაყოფის თვალსაზრისით საქართველოს ენერჯოსისტემა შემდეგნაირად გამოიყურება:



სურ. 5 საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სისტემა

ჩანს, რომ საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სისტემა დაყოფილია ნაწილობრივ ვერტიკალურად ინტეგრირებულ რამდენიმე სეგმენტად (პირობითად: ენერჯო-პრო, რაო-ეესი, სახელმწიფო, აფხაზეთი, სხვა გენერატორი/მომხმარებელი კომპანიები) სადაც გენერაციის და მიწოდება/განაწილების ან გენერაციის და გადაცემის საწარმოები ერთი მესაკუთრის მფლობელობაშია ან ერთ იურიდიულ პირშია გაერთიანებული. ვინაიდან ელექტროენერჯია ძირითადად ორმხრივი გარიგებებით

იყიდება, მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელექტროენერჯის მყიდველები მას ძირითადად თავისივე ჰიდროსადგურებიდან ყიდულობენ, ხოლო ენგურის იაფი ელექტროენერჯის და თბოსადგურების ძვირი ელექტროენერჯის გადანაწილება დამატებით განხილვას საჭიროებს.

აღნიშნულ სისტემა განსხვავდება დასავლური და კერძოდ ევროპული ენერგეტიკული ბაზრის მოდელებისგან. გასათვალისწინებელია სექტორის დღევანდელი „სეგმენტური“ სტრუქტურა ჩამოყალიბებულია ისტორიულად და გამაგრებულია სახელმწიფოს მიერ ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებებით, რომლის ფარგლებშიც ასევე ხდება გენერაციის ობიექტების გრძელვადიანი ფიქსირებული ტარიფების შეთანხმება და შემდეგ დამტკიცება სემეკის მიერ.

ბაზრის შემდგომი ლიბერალიზაცია და ევროპის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დამყარება გარკვეული სირთულეების გადალახვას და ქვეყანაში მოქმედი სპეციფიური ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- არსებულ სისტემაში ჰორიზონტალური დაყოფის განხორციელება ამა თუ იმ ფორმით;
- გენერაციის სექტორში დერეგულირების დასრულება და საბითუმო ბაზრის შემდგომი განვითარება;
- სამინისტროს და სემეკის ფუნქციების ლიბერალური ბაზრის მოდელთან მეტ შესაბამისობაში მოყვანა;
- დამოუკიდებელი მიმწოდებლის ინსტიტუტის გაჩენა, საცალო ბაზრის განვითარება და მესამე მხარის დაშვების პრაქტიკული განხორციელება;
- არათანაზომადი მოთამაშეების (1300 მგვტ ენგური და 1-2 მგვტ მცირე ჰიდროსადგურები) კონკურენციის პირობების შექმნა;
- რამდენიმე საწარმოსგან შემდგარი გადამცემი სისტემის ერთიანი განვითარების და მართვის პირობების უზრუნველყოფა;
- და სხვა.

ამასთან ელექტროენერგეტიკული ბაზრის განვითარების და შემდგომი ლიბერალიზაციისათვის გასათვალისწინებელი იქნება ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიც საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემას უწევს ფუნქციონირება. მათ შორის:

- ზაფხულში ჰიდროელექტროენერჯის სიჭარბის და ზამთარში ნაკლებობის, გამო ზაფხულის და ზამთრის და კონკურენტული გარემოს მკვეთრი განსხვავება;
- მიწოდება-მოხმარების სეზონური დისბალანსის გამო საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის შემდგომი განვითარების და კერძოდ

ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობის ძლიერი დამოკიდებულება გარე ბაზრებზე;

- ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო უმნიშვნელოვანესი გენერაციის ობიექტის ენგურის კასკადის და უმსხვილესი მომხმარებლის აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი;
- და ა.შ.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების სათანადო გათვალისწინება იქნება საჭირო იმისათვის, რომ პრაქტიკულ რეალობად გადაიქცეს ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, რაც ქვეყნის ევროგაერთიანებასთან დაახლოების და სავარაუდოდ თურქეთთან ელექტროენერჯით წარმატებული ვაჭრობის ერთერთი მნიშვნელოვანი პირობა იქნება. ჩამოთვლილი საკითხების დეტალური ანალიზი შემდგომ დეტალურ კვლევას და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მოძებნას მოითხოვს, რაც ჩვენს ამჟამინდელ ამოცანას შორდება.

გიორგი მუხიგულიშვილი
მურმან მარგველაშვილი

WEG 2012წ იანვარი

<<<<<<<<<>>>>>>>>>>>>

კვლევა შესრულებულია ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო“ მხარდაჭერით